ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 83

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 01 მარტი, 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ეი ბი ემ", წარმოდგენილი დირექტორის მარინა გიორგობიანის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 24 დეკემბრის N2416 განკარგულების, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის 2019 წლის 21 თებერვლის N6000209319 მოხსენებითი ბარათისა და ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის ნინო ყოჩიაშვილის 2019 წლის 13 თებერვლის N6000171719 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,შემსყიდველმა" „მიმწოდებლისგან" მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით 50400000 - სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მიღებაზე, კერძოდ, ბიუროს ბალანსზე რიცხული AppliedBio Systems ფირმის ხელსაწყოების Real Time PCR System (275002417; 275008900) და Genetic Analyzer 3500 (24157-111; 26196-130) დაკალიბრება/ვერიფიკაციის და საგარანტიო სერვისული (საჭიროების შემთხვევაში, ნაწილების შეცვლისა და შესაბამისი გარანტიის პირობით) მომსახურების გაწევაზე, საერთო თანხით 89196 (ოთხმოცდაცხრა ათას ასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი დღგ-ის ჩათვლით (შემდგომში - ,,ხელშეკრულების ღირებულება").

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებამდე, არაუგვიანეს 2020 წლის 30 აპრილისა.
5. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1 - ფასების ცხილი და დანართი N2 - ანგარიშსწორების გრაფიკი, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. ხელშეკრულება შედგენილია 08 გვერდზე, სამ ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84 ტელ: (995 32) 2 25 84 84	შპს „ეი ბი ემ" მის: ქ.თბილისი, ბურძგლას ქ. 74ა, ოფისი 2 ტელ: 591210099
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 707767126 ს/კ 204852089	სს "პროკრედიტ ბანკი" SWIFT: MIBGGE22 ა/ა GE49PC0133600100063852 ს/კ 404917328
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გიორგი მუმლაძე ----------	დირექტორი მარინა გიორგობიანი ----------

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შესრულდეს მოქმედი ნორმატიული აქტების, მეთოდიკების და ინსტრუქციების მიხედვით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხარისხის კონტროლის კოორდინატორი - თამარ გიორხელიძე.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა, ან მომსახურების გაწევისას დაზიანებული ხელსაწყოს ნაწილის ახლით შეცვლა შეტყობინებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში.

3.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბიუროს ბალანსზე რიცხული AppliedBio Systems ფირმის ხელსაწყოების Real Time PCR System (275002417; 275008900) და Genetic Analyzer 3500 (24157-111; 26196-130) დაკალიბრება/ვერიფიკაციის და საგარანტიო სერვისული (საჭიროების შემთხვევაში, ნაწილების შეცვლისა და შესაბამისი გარანტიის პირობით) მომსახურების გაწევა 2019 წლის 01 მარტიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით, შემდეგი პირობებით:

4.1.1 ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 4.1 პუნქტში მითითებული ხელსაწყოების ტექნიკური მდგომარეობის დათვალიერება/შემოწმება შემსყიდველთან შეთანხმებულ დროს, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 11 მარტისა.

4.1.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბიუროს ბალანსზე რიცხული AppliedBio Systems ფირმის ხელსაწყოების Real Time PCR System (275002417; 275008900) და Genetic Analyzer 3500 (24157-111; 26196-130) გეგმიური მომსახურება - დაკალიბრება/ვერიფიკაცია - ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არანაკლებ ერთხელ, შემსყიდველთან შეთანხმებულ დროს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბიუროს კუთვნილი, თითოეული აპარატის დაკალიბრების დამადასტურებელი

სერტიფიკატის გაცემა - მომსახურების გაწევის დასრულებისთანავე. სეტიფიკატების მოქმედების ვადა უნდა იყოს მინიმუმ ერთი წელი. სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დაკალიბრების სერტიფიკატის გამცემი კომპანიის დასახელება და მისამართი;
- დაკალიბრების სერტიფიკატის ნომერი;
- სერტიფიკატის გაცემის თარიღი;
- შემდგომი დაკალიბრების თარიღი;
- დაკალიბრებული საზომი საშუალების დასახელება, ტიპი, ნომერი;
- რომელი ხელსაწყოს გამოყენებით განხორციელდა დაკალიბრება;
- რომელი მოქმედი სტანდარტის, პროცედურის ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნათა თანახმად ჩატარდა დაკალიბრება;
- გამზომი საშუალების განუსაზღვრელობა;
- გამზომი საშუალების მიკვლევადობა (მიკვლევადობის დაფიქსირება საეთაშორისოდ აღიარებულ ეტალონამდე);
- სერტიფიკატის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა, ორგანიზაციის ბეჭედი.

4.1.3 შემსყიდველის კუთვნილი (4.1 პუნქტში მითითებული) ხელსაწყო(ები)ს დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია (ელ. ფოსტაზე - info@abm.com.ge) შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სერვის-ინჟინრის მიერ ხელსაწყო(ები)ს ადგილზე შეფასება და შესაბამისი დაზიანების დაფიქსირება. მიმწოდებელი ვალდებულია (შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებულ) გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დაზიანებული ხელსაწყო(ები)ს შეკეთება, საჭიროების შემთხვევაში, ახალი სათადარიგო ნაწილების ჩანაცვლებით. ხელსაწყო(ები)ს გამართული მუშაობისათვის საჭირო ყველა ახალი სათადარიგო ნაწილი შემსყიდველს მიეწოდება უსასყიდლოდ. დაზიანების თაობაზე მიმწოდებლის მიერ უნდა შედგეს დეფექტური აქტი დაზიანების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადების მითითებით, რომელიც დადასტურდება ხელმოწერით მომსახურების გამწევი სერვის-ინჟინრისა და 3.1 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირის მეერ.

4.1.4 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევის შემდგომ შეადგინოს მომსახურების შესრულების აქტი, სადაც აღწერილი იქნება გაწეული მომსახურების დეტალები (შეკეთებული აპარატი, მომსახურების გაწევის თარიღი, მომსახურების შინაარსი, გამოყენებული დეტალების დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აღნიშნული დეტალების საბაზრო ღირებულება, რაოდენობა და ა.შ). აღნიშნული შესრულების აქტი დადასტურებულ უნდა იქნეს მომსახურების გამწევი სერვის-ინჟინრის მიერ.

4.2 საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, მიმწოდებელმა შესაძლოა განახორციელოს 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ხელსაწყოებთან დაკავშირებული ან/და მათი გამართული მუშაობისათვის საჭირო სხვა ხელსაწყოების/აპარატების დიაგნოსტიკა.

4.3 მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ხელსაწყოების მწარმოებელი ფირმის მიერ ავტორიზებულმა/სერტიფიცირებულმა სერვის-ინჟინერმა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

დანართი N2-ით განსაზღვრული თითოეული გადახდის ეტაპის დადგომამდე (სამ თვეში ერთხელ), მხარეები ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას დაადასტურებენ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელმოწერით დაადასტურებს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული - ინსპექტირებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ნორმატიული აქტებს, მეთოდიკებისა და ინსტრუქციების.

6.2 მიმწოდებლის მიერ 4.1 პუნქტში მითითებული ხელსაწყო(ები)ს დაზიანების აღმოფხვრისას გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე/დეტალებზე ვრცელდება - 2 (ორი) წლიანი საგარანტიო პერიოდი, რომლის ათვლა განხორციელდება შესაბამისი მომსახურების შესრულების აქტის გაფორმების დღიდან.

6.3 მიმწოდებელი თავისუფლდება 3.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

6.4 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულების 6.2 პუნქტში გათვალისწინებული გარანტიის მოქმედების ვადის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

6.5 მომსახურების გაწევის პერიოდში, 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ხელსაწყოებზე მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს. დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეაკეთოს ან შეცვალოს ახლით შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვაინეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეში.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, დანართი N2-ით გათვალისწინებული გრაფიკით.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 და 4.1 პუნქტით, ასევე 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტითა და 4.1.3 ქვეპუნტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,03%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N2-ით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებუელბის 0,03%-ის ოდენობით.

12.3იმ შემთხვევაში, თუ მე-12 მუხლის 12.1 ან 12.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების 13.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

ფასების ცხრილი

#	ბიუროს კუთვნილი ხელსაწყოები (მწარმოებელი Applied Biosystems)	მომსახურება	Serial Number	რაოდენობა	მომსახურების ღირებულება ერთ ხელსაწყოზე	მომსახურების ღირებულება სულ (ლარი)
1	7500 Real Time PCR System	ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შესაბამისად	275002417	1	3159	3159
2	7500 Real Time PCR System	ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შესაბამისად	275008900	1	3159	3159
3	Genetic Analyzer 3500	ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შესაბამისად	24157-111	1	41439	41439
4	Genetic Analyzer 3500	ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შესაბამისად	26196-130	1	41439	41439
	ჯამი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)					**89196,00**

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი ...

დირექტორი
მარინა გიორგობიანი

დანართი N2

ანგარიშსწორების გრაფიკი

გადახდა	გადასახდელი თანხის ოდენობა	გადახდის პერიოდი
I ეტაპი	22 299 ლარი	2019 წლის 03 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით
II ეტაპი	22 299 ლარი	2019 წლის 02 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით
III ეტაპი	22 299 ლარი	2019 წლის 02 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით
IV ეტაპი	22 299 ლარი	2020 წლის 02 მარტიდან 13 მარტის ჩათვლით

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი ცოფურაძე

დირექტორი
მარინა გიორგობიანი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

01 მარტი 2019 წელი

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და შპს ,,ეი ბი ემ"-ს შორის 2019 წლის 01 მარტს AppliedBio Systems ფირმის ხელსაწყოების Real Time PCR System (275002417; 275008900) და Genetic Analyzer 3500 (24157-111; 26196-130) დაკალიბრება/ვერიფიკაციის და საგარანტიო სერვისული მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ N83 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით - ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით - შპს ,,ეი ბი ემ"-თან, რაზეც ვაწერთ ხელს:

ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

გიორგი მუმლაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების განმახორციელებელი პირი:

თამარ გიორხელიძე
ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ხელშეკრულების მომზადებაზე უფლებამოსილი პირი:

თინათინ ჩანადირი
ეკონომიკური დეპარტამენტის
დაგეგმვის და შესყიდვების სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი

Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau

Digitally signed by Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau
Date: 2019.03.11 11:57:14 +04'00'